პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 121 (3098) 25 1966 წ. ივნისი შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



რ. რურუა

# „ოქრო“ და „ვერცხლი“



ვ. იგუმენოვი



ვ. ოლეინიკი



ს. რიბალკო



გ. საუნოვი



ვ. ანისიმოვი



ნ. შმაკოვი

## „ჯენტლმენური, ვაჟკაცური, ელეგანტური...“

**ტოლიდო**, 23 ივნისი. ბრწყინვალედ იჭიდავა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ქვემსუბუქ წონაში ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რ. რურუამ. მან ქულებით სძლია ჯერ შვედ ფრეის, შემდეგ კი ირანელ ხორშიდფარს. ქართველმა ათლეტმა მთელი ტურნირი დამაჯერებლად განვლო და საკმაოდ იოლად მოიგო ყველა შეხვედრა. ამერიკელ ჟურნალისტთა საერთო აღიარებით, რურუა სსრ კავშირის ნაკრებში უძლიერესი იყო.

საშუალო წონის საბჭოთა ათლეტი ვ. ოლეინიკი 12 წელია, რაც ხალიჩაზე გამოდის, მაგრამ არასდროს, საკავშირო ჩემპიონატებშიც კი, IV ადგილზე მაღლა არ დამდგარა. და აი, ტოლიდოში მან ოქროს მედალი მოიპოვა! ოლეინიკმა გადამწყვეტი შეხვედრა თურქ კიშთან ფრედ დაამთავრა, მაგრამ I ადგილი მაინც მას მიეკუთვნა, ვინაიდან იგი თურქზე 300 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა.

მსოფლიოს ჩემპიონმა მსუბუქ წონაში გ. საპუნოვმა პირველი ბრძოლა წააგო. შემდგომში მან ყველა შეხვედრა მოიგო (მეტი წილი წმინდად) და ვერცხლის პრიზიორი გახდა. საპუნოვი ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ ცნეს.

მძიმე წონის ათლეტი ნ. შმაკოვი შეჯიბრების დღეებში ანგინით გახდა ავად. მაღალი სიცხის მიუხედავად, მან შეხვედრები ალმავლობით ჩაატარა და II საპრიზო ადგილი გაინაღდა. შმაკოვმა წააგო ერთადერთი ბრძოლა ოლიმპიურ ჩემპიონთან, უნგრელ გოლიათ ი. კოზმასთან (იგი 130 კილოგრამს იწონის).

ტურნირის დამთავრების შემდეგ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რ. კულონმა (საფრანგეთი) განაცხადა: „საბჭოთა ათლეტებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მსოფლიოში უძლიერესნი არიან“. იმავე აზრისაა ამერიკის შეერთებული შტატების ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯ. სკალცა, რომელსაც ყველა საბჭოთა ათლეტი ექსტრა-კლასის მოჭიდავედ მიაჩნია. ფინეთის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა ე. ხიმბერტმა კი პირდაპირ თქვა: „საბჭოთა სპორტსმენებმა ჯენტლმენური, ვაჟკაცური და ელეგანტური ჭიდაობა გვიჩვენეს“.

## ჩემპიონები, პრიზიორები...

**ტოლიდო, 23 ივნისი.** ადგილობრივი უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ისევე, როგორც შარშან, I ადგილი გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით მოიპოვეს საბჭოთა ათლეტებმა, თუმცა, წინა ჩემპიონატთან შედარებით, ოქროს მედალოსანთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა (1965 წელს — 7 ჩემპიონი, წლეულს — მხოლოდ — 3). მოგვყავს პირველობის ტექნიკური შედეგები:

### გუნდური ჩათვლა

**1. სსრ კავშირი — 39,5 ქულა,** 2. ბულგარეთი — 19, 3. რუმინეთი — 14,5, 4. გფრ — 14, 5. თურქეთი — 13, 6. შვეცია — 11.

### პირადი ჩათვლა

**უმჩატესი. 1. ა. კერეზოვი (ბულგარეთი),** 2. ს. რიბალკო (სსრკ), 3. რ. ლაკური (გფრ).

**მჩატე. 1. ფ. შტანგე (გფრ),** 2. ი. საკურამა (იაპონია), 3. უ. ბესერგელი (თურქეთი)... 5. ვ. ტროსტიანსკი (სსრკ).

**ქვემსუბუქი. 1. რ. რურუა (სსრკ),** 2. ლ. ფრეი (შვეცია), 3. ი. ხორშიდფარი (ირანი).

**მსუბუქი. 1. ს. ხორვატი (იუგოსლავია),** 2. გ. საპუნოვი (სსრკ), 3. ე. ტაპიო (ფინეთი).

**ქვესაშუალო. 1. ვ. იგუმენოვი (სსრკ),** 2. ფ. ჩიოპჩილა (რუმინეთი), 3. პ. ნეტეკოვენი (გფრ).

**საშუალო. 1. ვ. ოლეინიკი (სსრკ),** 2. ტ. კიში (თურქეთი), 3. ფ. პოტში (ავსტრია).

**ქვემძიმე. 1. ბ. რადევი (ბულგარეთი),** 2. ვ. ანისიმოვი (სსრკ), 3. ნ. მარტინესკუ (რუმინეთი).

**მძიმე. 1. ი. კოზმა (უნგრეთი),** 2. ნ. შმაკოვი (სსრკ), 3. პ. კმენტი (ჩეხოსლოვაკია).

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ჩეხოსლოვაკიელ კალათბურთელ ქალთა მეორე მატჩი: თამაშობდნენ პრაღის „სლავია“ და თბილისის „ბურევესტნიკი“. მოსალოდნელი იყო, რომ სტუმრები ეცდებოდნენ აეღოთ წინადღით წაგებული თამაშის რევანში. მართლაც, ჩეხოსლოვაკიელები თავიდანვე აქტიურად ამოქმედდნენ და ყოველ ხელსაყრელ მომენტს კალათში ბურთის სასროლად იყენებდნენ. მაგრამ ტყორცნები უზუსტო იყო

საგრძნობი უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. მაგრამ აი, შუა ტაიმში მასპინძლები 10 ქულით დაწინაურდნენ და ეს სხვაობა შესვენებამდე შეინარჩუნეს — 28:18.

მეორე ტაიმში ჩეხოსლოვაკიელები ყოველი ღონით ცდილობდნენ თამაშში გარდატეხის შეტანას და დასაწყისში ეს თითქოს მოახერხეს კიდეც. 25-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა 4 ქულამდე შემცირდა. ჯანელიძისა და სურგულაძის ენერგიული თამაშით მდგომარეობა კვლავ გამოსწორდა (36-ე წუთზე ანგარიში იყო 58:43 მასპინძლების სასარგებლოდ), მაგრამ თბილისელებმა მოადუნეს ყურადღება, რითაც კარგად ისარგებლეს ჩეხოსლოვაკიელებმა და რამდენიმე ბურთი მოათავსეს მეტოქის კალათში.

საბოლოოდ გამარჯვება მაინც თბილისელებს დარჩათ — 66:60.

სტუმრებში ყველაზე შედეგიანი, ისევე, როგორც პირველ მატჩში, იყო მათი კაპიტანი — მ. ინდროვა — 23 ქულა. თბილისელთაგან გუნდს ყველაზე მეტი ქულა (16) შესძინა ი. ახრახაძემ.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## 1953 წლიდან დღემდე

ისევე, როგორც თავისუფალ ჭიდაობაში, „კლასიკოსებსაც“ მსოფლიო ჩემპიონატების სათვალავი 1953 წლიდან ეწყებათ. სსრ კავშირის ათლეტთა საერთო წარმატება აქ კიდევ უფრო აშკარაა. ისინი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების რაოდენობით II ადგილზე მყოფ უნგრეთს მთელი 27 ქულით უსწრებენ.

აი, როგორ გამოიყურება მსოფლიოს უძლიერეს კოლექტივთა ცხრილი კლასიკურ ჭიდაობაში (ცხრილში შეტანილია ტოლიდოს ტურნირის შედეგებიც):

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 38 | 13 | 4 | 55 |
| 2. თურქეთი | 5 | 9 | 14 | 28 |
| 3. უნგრეთი | 7 | 9 | 3 | 19 |
| 4. შვეცია | 3 | 6 | 7 | 16 |
| 5. გფრ | 1 | 4 | 5 | 10 |
| 6. იუგოსლავია | 3 | 3 | 3 | 9 |
| 7. ბულგარეთი | 2 | 4 | 3 | 9 |
| რუმინეთი | 2 | 4 | 3 | 9 |
| 9. იტალია | 1 | 3 | 4 | 8 |
| 10. ფინეთი | — | 4 | 2 | 6 |
| 11. ჩეხოსლოვაკია | — | 1 | 4 | 5 |
| 12. გდრ | — | 1 | 3 | 4 |
| 13. ირანი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 14. პოლონეთი | — | 1 | 2 | 3 |
| 15. აშშ | — | — | 2 | 2 |
| 16. ეგვიპტე | 1 | — | — | 1 |
| 17. იაპონია | — | 1 | — | 1 |
| დანია | — | 1 | — | 1 |
| 19. ბელგია | — | — | 1 | 1 |
| ავსტრია | — | — | 1 | 1 |
| ლიბანი | — | — | 1 | 1 |

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# რაც ხელს გვიშლის

აკადემიური ნიჩბოსნობა პირველად სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამაში შეიტანეს და მაშინაც არასრულად (ორ და ოთხადგილიანი უმესაჭო გასაშლელი ნავებით ასპარეზობა არ გამართულა). საქართველოს ნაკრებმა პირველი გამოცდა დამაკმაყოფილებლად ჩააბარა, — წააგო მხოლოდ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გუნდებთან და VIII ადგილი დაიკავა. სპეციალისტებმა ეს გუნდის დიდ წარმატებად მიიჩნიეს, ვინაიდან აკადემიური ნიჩბოსნობა საქართველოში, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ახალი ხილი იყო და მეტოქეები ბაზების სიუხვითაც გვჯობდნენ.

ზოგიერთი გაუთვალისწინებელი ხარვეზი და, განსაკუთრებით, სპორტსმენთა უკმარი საერთო ფიზიკური მომზადება რომ არა, ლატვიელთა დამარცხება და 1 ადგილით წინ წაწევაც შეიძლებოდა.

მაგრამ ამ წერილის მიზანს წინა სპარტაკიადის შედეგების განხილვა არ შეადგენს. გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმის თაობაზე, თუ როგორ ვემზადებით სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის.

საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამას ორ და ოთხადგილიანი გასაშლელი (უმესაჭო) ნავებით ტურნირიც დაემატა, ამ ნავების ეკიპაჟთა შესავსებად კი სულ ცოტა 6 სპორტსმენია საჭირო. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ორ კლასში გუნდები დაიშალა (თბილისის ოთხადგილიანი და ფოთის რვაადგილიანი), დავრწმუნდებით, რაოდენ რთული ამოცანის წინაშეა ახლა ნაკრების ხელმძღვანელობა. მართალია, ცვლა არის (ეს 25-26 აპრილს თბილისის ზღვაზე გამართულმა საქართველოს პირველობამაც დაადასტურა), მაგრამ სპორტსმენთა რიცხვის ერთგვარი ზრდა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ აღმოიფხვრა ყველა ის ნაკლი, რამაც შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი ნიჩბოსნების ჩავარდნა (XI ადგილი) გამოიწვია. საქართველოს ნაკრებმა არსებობის 8 წლის მანძილზე პირველად „დაუთმო" ხალხთა სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ჩვენს ძირითად მეტოქეს — ბელორუსიის კოლექტივს, აგრეთვე, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გუნდებს.

სპარტაკიადის შემდეგ დაშლილ გუნდს კარგი შემცვლელი გამოუჩნდა მცხეთელთა (ა. ხამხაძე, ვ. ბაშკინოვი, ვ. მრელაშვილი, უ. ნათელაშვილი) და ფოთელთა კვარტეტის სახით. ორ და ოთხადგილიანი გასაშლელი ნავები მესაჭით ძირითადად ნიჭიერი ახალგაზრდებით (ბ. ერისთავი, გ. ნიკურაძე, ო. გიგაური, ს. ბაბუშკინი, ა. მოსტავენკო, ნ. ზამისნი, ი. მიშენკო) დაკომპლექტდება, მაგრამ როგორღა მოვიქცეთ სხვა კლასის ნავების ეკიპაჟთა შერჩევის დროს? განსაკუთრებით გვაფიქრებს რვამოსასმელიანი ნავი.

საქართველოს ამასწინანდელ პირველობაში ამ კლასის ნავები გამოიყვანეს თბილისმა, მცხეთამ, ქუთაისმა და ფოთმა. ეს მისასალმებელია, მაგრამ ცალცალკე ისინი დიდ ძალას როდი წარმოადგენენ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ თბილისის რვაადგილიანი ნავის ეკიპაჟმა უფრო ცუდი შედეგი აჩვენა, ვიდრე ოთხადგილიანი ნავისამ. სამაგიეროდ, ყველა კლასში მოიძებნება ძლიერი ნიჩბოსანი, რომელთა შეკრება კარგ გუნდს მოგვცემდა. რვაადგილიანი ნავისთვის ნაკრების შედგენა, ერთი შეხედვით, ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ სპორტსმენთა შერჩევა ერთია და მათი გუნდური, ხანგრძლივი და რეგულარული ვარჯიში — მეორე და ძირითადი. რვაადგილიანი ნავის ყოველი წევრის შრომა ერთიმეორეზეა დამოკიდებული, მაღალი ტემპი მოითხოვს ნიჩბების მოსმის ზუსტ შერწყმას, ასე ვთქვათ, სინქრონულ მოძრაობას. ხანგრძლივი წვრთნის გარეშე კი ამის მიღწევა წარმოუდგენელია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიჩბოსნებისა საერთოდ, და, განსაკუთრებით, ნაკრების წევრთა ფიზიკურ წრთობას, ვინაიდან ტექნიკური მომზადების მხრივ ისინი ბევრად არ ჩამოუვარდებიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპორტსმენებს. მაგრამ აი, ფიზიკურ მომზადებაში ჩამორჩებიან და ამიტომაც ბევრჯერ გაუშვიათ ხელიდან თითქმის განაღდებული გამარჯვება. მაგალითად, სსრ კავშირის შარშანდელ პირველობაში ჩვენი ვაჟთა ოთხადგილიანი ნავი (უმესაჭოდ) წინასწარ გაცურვაში დისტანციის ნახევარზე მეტს ლიდერობდა. ჩვენები მოსკოვისა და რსფსრ-ს გუნდებსაც საკმაოდ ასწრებდნენ, მაგრამ „დენთი" ფინიშამდე არ ეყოთ, დაილალნენ და პირველობა დათმეს.

საქართველოს სპორტსმენთა ფიზიკური მოუმზადებლობა მაშინ სხვა კლასების ნავებით ასპარეზობამაც დაადასტურა. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ხარვეზების გამოსწორებისთვის მწვრთნელები და ნიჩბოსნები შინ დაბრუნებისთანავე იზრუნებდნენ, მაგრამ, როგორც ამას წინათ თბილისის ზღვაზე გამართულმა საკავშირო ზონალურმა პირველობამ დაგვანახვა, საამისოდ მათ თითი თითზეც კი არ დაუკარებიათ. ორადგილიანი გასაშლელი ნავებით ასპარეზობისას გ. ლიქოკელი და გ. ჭუმბურიძე ტექნიკის წყალობით სტარტიდანვე დაწინაურდნენ, ისინი 1800 მეტრზე ლიდერობდნენ, მაგრამ შეჯიბრება მაინც ფიზიკურად უკეთ მომზადებულმა აზერბაიჯანის ნიჩბოსნებმა მოიგეს; სსრ კავშირის III სპარტაკიადის ფინალისტებმა — ვ. კრივოროტოვმა და ე. შევცოვმა კი თავიდანვე დათმეს ბრძოლა.

საერთო ფიზიკური მოუმზადებლობა ჩვენი ნიჩბოსნებისა და მწვრთნელების დაუდევრობითაცაა გამოწვეული. ჩვენი აზრით, ამ საქმეში მეორეხარისხოვან როლს როდი ასრულებს ის გარემოება, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ნიჩბოსნებისთვის ძალოსნობისა და ტანვარჯიშული დარბაზების გამოყოფა და ისეთი მწვრთნელის შერჩევა, რომელიც კოლექტივის საერთო ფიზმომზადებაზე იზრუნებდა. ამ ხარვეზების აღმოუფხვრელად საიუბილეო სპარტაკიადაში წარმატების ნაკლები იმედი უნდა ვიქონიოთ.

სპარტაკიადისთვის რიგიან სამზადისში ბევრი სხვა დიდი მიზეზიც გვიშლის ხელს.

ნაკრების თავშეყრის ძირითადი პუნქტი თბილისის ზღვაა. აქ აკადემიურ ნიჩბოსნობაში წვრთნის შედარებით უკეთესი პირობებია. ბოლო წლებში თბილისის ზღვაზე ელინგიც აშენდა. მაგრამ საქმეს მაინც აფერხებს ის გარემოება, რომ ნავების შემკეთებელი კარგი ოსტატი არ გვყავს. კარგი ბაზაა მტკვარზეც, ინვენტარი კი არ არის. ჯერჯერობით გამოუყენებელია ფოთის „ვოდნიკის" წყალჯომარდობის სადგური, რომლის რეკონსტრუქცია ძალზე გაჭიანურდა. ხანგრძლივი დავის შემდეგ, როგორც იქნა, დახურეს ამ სადგურის ტერიტორიაზე არსებული რესტორანი, მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო ბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ბოლო არ უჩანს.

კეთილმოუწყობელია მცხეთისა და ქუთაისის წყალჯომარდობის სადგურები, ალარაფერს ვამბობთ ბათუმსა და სოხუმზე, სადაც ბაზები საერთოდ უპატრონოდაა მიტოვებული.

კატასტროფული მდგომარეობაა აკადემიური ნავების [illegible] საქმეში. თბილისშიც კი, სადაც თავმოყრილია საქართველოში არსებული ნავების 60 პროცენტი, ერთი ხეირიანი ერთმოსასმელიანი ნავიც არ გააჩნია. სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალისტი ე. შევცოვი საქართველოს პირველობაში გაფუჭებული ნავით გამოდიოდა და ფინიშზე „ყელამდე" წყალში მივიდა. ძველი, ვადაგასული ნავებით ვარჯიშობს მცხეთის, ქუთაისის, ფოთის ბევრი ნიჩბოსანი.

რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებას აფერხებს სპორტკავშირის ზოგიერთი საქალაქო და საოლქო საბჭოების, აგრეთვე, „დინამოს", „განთიადის", „შრომითი რეზერვების", „ვოდნიკისა" და სხვა რესპუბლიკური საბჭოების საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. საქართველოს III სპარტაკიადაში აჭარამ სრული გუნდი გამოიყვანა, მერე ძლიერი ნიჩბოსნები ფოთიდანაც წაიყვანა და... მას შემდეგ აჭარის სპორტსმენები რესპუბლიკურ ტურნირებში აღარ გამოსულან. ასევა აფხაზეთშიც.

ამრიგად, ძალთა შერჩევის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს ახალგაზრდობის სპორტსკოლები თბილისში, ქუთაისსა და ფოთში, თითო ჯგუფი „ბურევესტნიკისა" (თბილისში) და „სპარტაკისა" (მცხეთაში). აი, ჩვენი მასობრიობის ექვივალენტი. ამ მხრივ განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტსკოლაც არაფერს აკეთებს; ჩაშლილია მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის სამზადისში უნდა გავითვალისწინოთ წინა სპარტაკიადისთვის მზადებისას დაშვებული შეცდომებიც.

დასასრულ, აუცილებლად მიმაჩნია ჩვენი ნაკრების წვრთნა მოსკოვისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გუნდებთან. ეს ძალთა დაზვერვაც იქნებოდა და სპორტსმენებსაც მეტ სარგებლობას მოუტანდა.

**თ. ხოშერიკი,**
საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე.

# თასი მეხუთედ

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა V ტრადიციული სპარტაკიადა.

შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების, ჭიათურის მარგანეცის ტრესტისა და საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების ინსტიტუტის ნაკრები კოლექტივები.

ქართულ ჭიდაობაში გუნდური I ადგილი მასპინძლებმა დაიკავეს. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ჯაბახაძე, სპორტის ოსტატები ლაფაჩიშვილი და ჯიოშვილი, ფუხაევი, ტეფნაძე, ჩაქიაშვილი (ყველანი — რუსთავი), აბჯანდაძე (ზესტაფონი), პაპუაშვილი (რუსთავი).

ჩემპიონობის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა არ დასჭირებიათ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფრენბურთელ ვაჟებსა და ქალებს, რომლებმაც ყველა მეტოქე „მშრალი" ანგარიშით (2:0) დაამარცხეს.

ტყვიის სროლაში მასპინძლებმა 85 ქულით გაუსწრეს II ადგილზე გასულ ჭიათურის გუნდს. ისინი სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ჭადრაკში, შაშში, მძლეოსნობასა და მაგიდის ჩოგბურთში.

ცხადია, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას რუსთაველმა სპორტსმენებმა აჯობეს. მათ კვლავ მიეკუთვნათ სპარტაკიადის გარდამავალი თასი, რომელიც ჯერ კიდევ I სპარტაკიადაში მოიპოვეს და მას შემდეგ არავისთვის დაუთმიათ.

**რ. გაბრიჭიძე.**
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

# უფროსი მსაჯის „ზრუნვით"...

მძლეოსანთა შეჯიბრების საერთო გუნდურ ჩათვლაში, როგორც ზემომოყვანილ წერილშია ნათქვამი, მასპინძლებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ამ წერილის მიზანს ტექნიკური შედეგების გადმოცემა კი არა, ასპარეზობის ორგანიზაციული მხარის ავ-კარგის განსჯა შეადგენს. სამწუხაროდ, ტურნირი მეტად არაორგანიზებულად ჩატარდა, რაც, პირველ ყოვლისა, შეჯიბრების უფროსი მსაჯის ი. ხაბეიშვილის უწყორო მოქმედებით უნდა აიხსნას.

შეჯიბრების დღემდე თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ აი, დადგა ტურნირის დაწყების დრო, ი. ხაბეიშვილი კი... არსად ჩანდა. უფროსი მსაჯი მხოლოდ საათნახევრის შემდეგ გამოცხადდა და ტურნირი ისე გახსნა, რომ არც ბილიკები შეუმოწმებია, არც სექტორები და ინვენტარი.

ალბათ, მისი „ზრუნვის" შედეგი იყო ისიც, რომ ტურნირს ბევრი არაკვალიფიციური მსაჯი ემსახურებოდა. ყოველივე ამას, ცხადია, უნაყოფოდ არ შეეძლო ჩაევლო: უხეშ შეცდომებს ჰქონდა ადგილი სტარტების მიცემისას, არავის შეუდგენია ტურნირის გრაფიკი, წინასწარ არ დაუკომპლექტებიათ ბრიგადები და სხვ.

მოსალოდნელი იყო, რომ ი. ხაბეიშვილი გაითვალისწინებდა ამ შეცდომებს, მაგრამ... შეჯიბრება მეორე დღესაც დაგვიანებით დაიწყო. რაც მთავარია, უფროსი მსაჯი დიდხანს ვერ დავარწმუნეთ, რომ სწორად არ აძლევდა 400 მეტრზე რბენის სტარტს.

ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, თავისი უხეირო კვალი დააჩნია ასპარეზობის საერთო დონეს.

**ჯ. ხუბუა,**
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მძლეოსანთა მწვრთნელი.

# გამარჯვებები და... მარცხიც



როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ქალაქებში ამჟამად ტარდება უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სტუდენტთა საკავშირო პირველობის ფინალური შეჯიბრებები. ასპარეზობაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებიც მონაწილეობენ და არც თუ წარუმატებლად.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ჩებოკსარში კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებაში თბილისელმა სპორტსმენებმა I ადგილი დაისაკუთრეს. ახლა გაგაცნობთ კიდევ ოთხი შეჯიბრების შედეგებს.

## ● ტანვარჯიში

ტანმოვარჯიშეები პირველი მერცხლები იყვნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებისა.

პირად ასპარეზობაში ყველას აჯობა ბ. ალექსეევმა (ომსკი) — 109,71 ქულა, II ადგილზეა ბ. გრუშკო (თურქმენეთი) — 109,65, III — თბილისელი ბ. აბრამიშვილი — 109,55. ჩვენი გუნდის სხვა წევრებმა რ. გამხოშვილმა, ფ. იმამოვმა და ბ. სალარიძემ შესაბამისად VIII, IX და X ადგილები დაიკავეს, რამაც განაპირობა საქართველოს კოლექტივის გუნდური გამარჯვება — 344,355 ქულა. II ადგილზე დარჩნენ ლატვიელი ტანმოვარჯიშეები — 338,500, ხოლო III — თურქმენეთის წარმომადგენლები — 315,115.

ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებს ამზადებდა ტ. ცვეტკოვი.

## ● კალათბურთი

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ტურნირში ფინალისტები შესარჩევ ჯგუფებში გამარჯვებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ლატვიელი და ესტონელი კალათბურთელები ვერას გახდნენ საქართველოს სპორტსმენთა იერიშების წინააღმდეგ: თბილისელებმა ყველა 5 შეხვედრა მოიგეს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები შეუდარებელი იყვნენ ფინალურ ასპარეზობაშიც და მოიგეს ყველა შეხვედრა, მათ შორის, უკრაინისა (80:58) და თურქმენეთის (85:75) კოლექტივებთან. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სტუდენტების მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ლ. ინწკირველს.

აი, გუნდის შემადგენლობა: ვ. ნარიმანიძე, თ. ბუილიშვილი, გ. სულხანიშვილი, ვ. თუდოშვილი, ზ. ქარაბაქი, ზ. ხიდაშელი, ვ. პოზინენკო და დ. ჩოფიკაშვილი.

## ● ფრენბურთი

გავვახარეს ფრენბურთელებმაც (მწვრთნელი ი. გურგენიძე), რომელთაც შეხვედრების უმეტესობა „მშრალი" ანგარიშით (3:0) მოიგეს. ფინალურ ჯგუფში ჩვენებმა დაამარცხეს კიევისა და ლატვიის სასოფლო-სამეურნეო აკადემიების გუნდები და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ტყუილად როდი ატარებენ რესპუბლიკის ჩემპიონის სახელს. აი, ისინი, ვინც გვასახელა: ს. ბუინოვი, ლ. გოცირიძე, ნ. ტრიანდაფილიდი, ვ. გავრილენკო, ვ. კალიანდრა, ვ. რაგა, ჰ. ლეტუჩი და ა. ხრიკულოვი.

## ● თავისუფალი ჭიდაობა

სამწუხაროდ, ამ წერილში მარცხზე ლაპარაკიც მოგვიხდება. მართლაც, მხოლოდ ასე შეიძლება ეწოდოს თბილისელი ათლეტების XII ადგილს თავისუფალ ჭიდაობაში. შესაძლოა, ამასაც ჰქონდეს თავისი ახსნა, მაგრამ, ვფიქრობთ, თავის მართლება არ ღირს. აქ კი განზრახ არ ვასახელებთ გუნდის წევრებს, იმის იმედით, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოჭიდავეები ჩაუკვირდებიან ამ მწარე გაკვეთილს, ყოველივეს აწონ-დაწონიან და მერმისისთვის გაითვალისწინებენ.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

• • •

ხ უ რ ა თ ზ ე: ბ. აბრამიშვილი ბჯენითი ხტომისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

ზურვი და მოედანი—გავეშვებს!

# I თანრიგის მაჩვენებლებით



ბათუმში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული წყალში ხტომელთა შეჯიბრება.

ასპარეზობის პირველი დღე ტრამპლინიდან ხტომელ გოგონებს დაეთმო. სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ნ. ცოცხალაშვილმა (113,3 ქულა). II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს აფხაზეთის გუნდის წარმომადგენლებმა ვ. კოლჩინამ (103,80) და ლ. ზაიცევამ (102,90). სამივე სპორტსმენმა შეასრულა I თანრიგის ნორმატივი.

მეორე დღეს პირველობას ტრამპლინიდან მხტომელი ჭაბუკები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ყველას აჯობა თბილისის 64-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ს. ჩუნიხინმა (124,39). იგი „ჩაეტია" I თანრიგის ნორმატივში. II და III ადგილებიც თბილისელებს ხვდათ წილად: ზ. სადოევმა დააგროვა 117,18 ქულა, ხოლო ვ. კირიჩენკომ — 112,62.

დასრულდა ასპარეზობა 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში... ნ. ცოცხალაშვილმა ამ სახეობაშიც I ადგილი გაინაღდა — 83,44 ქულა. II ადგილზეა ნ. კიშკო (81,12), III — აფხაზეთის გუნდის წევრი ვ. ფუჩენკო (58,19).

ჭაბუკთა შორის იმარჯვა აფხაზეთის გუნდის წევრმა ვ. ზასიუკმა (124,43). II-III ადგილებზე გავიდნენ თბილისელები — ვ. კირიჩენკო (105,77) და ზ. სადოევი (104,52).

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი (825,12), 2. აფხაზეთი (630,45), 3. აჭარა (74,56).

**ა. ჩანტლაძე.**

ბათუმი.

ს უ რ ა თ ზ ე: მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში, თბილისელი მოსწავლე ნ. ცოცხალაშვილი. ფოტო ავტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# კაიშაურის გოლი

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 23 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:0 (0:0).

„ლოკომოტივი": გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, იხიანი, მუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური, ახალკაცი, გვაზელი.

„დინამო": მაზგინი, ვიბორნოვი, ჩუნოსოვი, გერასიმოვი, მაქსიმოვი, ჟურავლიოვი, ლავრიჩინი, მოისეევი. გარბუზი, ტლიარუგოვი (მეშკოვი), ჟუკოვსკი.

მსაჯი ვ. მარჩენკო (ხარკოვი).

ქულათა თანაბარი რაოდენობა და მასთან ერთად ახლო მეზობლობა გათამაშების ცხრილში მატჩის ორივე მონაწილეს აიძულებდა ეთამაშა სრული დატვირთვით და მთელი უნარით. გამარჯვება საგრძნობ „თერგს" იძლეოდა, ამიტომ მისი მოპოვებისთვის ბრძოლას შეუპოვარი და დაძაბული ხასიათი ჰქონდა. მაყურებლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს თამაშს.

საგრძნობი ზურგქარი დინამოელებს საშუალებას აძლევდა მაღალ ტემპში ეწარმოებინათ შეტევა და შორიდან დაერტყათ კარში. ორი ძნელი ბურთის აღება მოუხდა გრძელიშვილს, ერთხელ კი „ლოკომოტივი" ძელმა იხსნა. მე-12 წუთზე ლავრიჩინმა და მოისეევმა გაითამაშეს კომბინაცია, რომლის შედეგად ეს უკანასკნელი პირისპირ დარჩა თბილისელთა მეკარესთან. თავდამსხმელი წამით შეყოვნდა და მხოლოდ მისი ამ შეცდომის წყალობით შეძლო მუმლაძემ ხიფათის მოგერიება.

ცოტა ხნის შემდეგ ზუსტად ასეთივე სიტუაცია შეექმნათ თბილისელებს, კერძოდ, ახალკაცს: კაიშაური გავიდა ფრთაზე, მიაწოდა მაზიაშვილს, მაზიაშვილმა — ახალკაცს და „ლოკომოტივის" კაპიტანი მარტო დარჩა მეკარესთან. არც ეს მომენტი იქნა გამოყენებული.

## „ა" კლასი II ჯგუფი

გოლი, რომელმაც მასპინძლებს მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა მეორე ტაიმის დასაწყისშივე, მე-5 წუთზე. თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი კაიშაური, როგორც წესი, ყოველ შესაძლებლობას იყენებდა მოწინააღმდეგე კარის იერიშისთვის. ასეთი შესაძლებლობა კაიშაურს კიდევ ერთხელ მიეცა და მან ძნელი მდგომარეობიდან გაიტანა ეფექტური ბურთი — 1:0.

რ. ქორიძე.

• • •

ზედა მარცხენა სურათზე: სახიფათო მომენტი თბილისელთა კართან. ბურთი მეკარე თ. გრძელიშვილის ხელთაა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ბათუმელთა ფრე

გროზნო, 24 ივნისი (ტელეფონით). გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „თერგი" და ბათუმის „დინამო".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ფეხბურთი 1966

## გათამაშების ცხრილები I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 20 ივნისისათვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 14 | 10 | 2 | 2 | 24—9 | 22 |
| „სინათლე" (თბილისი) | 13 | 9 | 3 | 1 | 31—8 | 21 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 13 | 7 | 5 | 1 | 20—7 | 19 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 13 | 8 | 2 | 3 | 13—10 | 18 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 14 | 7 | 3 | 4 | 22—12 | 17 |
| „იხანი" (თბილისი) | 13 | 4 | 3 | 6 | 9—10 | 11 |
| „ირისთონი" (ცხინვალი) | 12 | 4 | 3 | 5 | 9—12 | 11 |
| „ქართლი" (გორი) | 13 | 4 | 3 | 6 | 10—14 | 11 |
| „მაღაროელი" (ტყიბული) | 14 | 3 | 4 | 7 | 8—14 | 10 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 14 | 4 | 2 | 8 | 11—82 | 10 |
| „ტორპედო" (გაგრა) | 12 | 2 | 2 | 8 | 11—19 | 6 |
| „დინამო" I (თბილისი) | 13 | 1 | 0 | 12 | 15—35 | 2 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 14 | 7 | 5 | 2 | 23—9 | 19 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 13 | 7 | 4 | 2 | 22—12 | 18 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 14 | 7 | 4 | 3 | 17—12 | 18 |
| ასკ (თბილისი) | 14 | 5 | 6 | 3 | 21—13 | 16 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 14 | 6 | 4 | 4 | 20—18 | 16 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 14 | 5 | 6 | 3 | 17—17 | 16 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 14 | 3 | 8 | 3 | 13—12 | 14 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 13 | 4 | 6 | 3 | 10—11 | 14 |
| ფიზა ინსტ (თბილისი) | 13 | 4 | 5 | 4 | 21—17 | 13 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 14 | 4 | 3 | 7 | 13—18 | 11 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 14 | 2 | 4 | 8 | 13—24 | 8 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 13 | 0 | 1 | 12 | 8—36 | 1 |

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარეჯი" (საგარეჯო) | 8 | 6 | 1 | 1 | 14—5 | 13 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 10 | 5 | 2 | 3 | 20—12 | 12 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 9 | 4 | 3 | 2 | 20—12 | 11 |
| „ნადიკვარი" (თელავი) | 7 | 4 | 1 | 2 | 8—7 | 9 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 8 | 3 | 3 | 2 | 11—15 | 9 |
| „სამცხე" (ასპინძა) | 8 | 2 | 4 | 2 | 10—9 | 8 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 9 | 2 | 4 | 3 | 13—18 | 8 |
| „გახტრიონი" (ახმეტა) | 7 | 2 | 3 | 2 | 8—10 | 7 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 7 | 1 | 4 | 2 | 8—9 | 6 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 7 | 1 | 4 | 2 | 3—6 | 6 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 8 | 1 | 3 | 4 | 5—8 | 5 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 8 | 1 | 1 | 6 | 8—17 | 3 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლაითური" (მახარაძე) | 9 | 6 | 2 | 1 | 11—4 | 14 |
| „აერო" (გალი) | 9 | 4 | 4 | 1 | 17—7 | 12 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 9 | 5 | 2 | 2 | 17—9 | 12 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 9 | 4 | 3 | 2 | 25—12 | 11 |
| „სულორი" (ვანი) | 9 | 3 | 5 | 1 | 9—7 | 11 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 8 | 4 | 2 | 2 | 7—7 | 10 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 9 | 3 | 3 | 3 | 9—9 | 9 |
| „კოლხიდმშენი" (ფოთი) | 10 | 3 | 2 | 5 | 11—19 | 8 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 9 | 2 | 3 | 4 | 9—14 | 7 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 9 | 3 | 0 | 6 | 13—23 | 6 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 9 | 1 | 3 | 5 | 6—19 | 5 |
| „ციხკარა" (ბათუმი) | 10 | 1 | 1 | 8 | 3—6 | 3 |

# „დელისის" წარმატება

თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე 15-დან 23 ივნისამდე მიმდინარეობდა საქალაქო შეჯიბრება „ტყავის ბურთის" მრიზზე, რომელშიც მონაწილეობდა რაიონულ ტურნირებში გამარჯვებული 7 გუნდი.

ძალზე დაძაბული ბრძოლით აღინიშნა „ფოლადისა" (ლენინის რაიონი) და „მახათას" (ოქტომბრის რაიონი) შეხვედრა. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2. დებულების თანახმად, ორივე გუნდის კარში დაინიშნა 11-11 პენალტი. ვერც ამან გამოარკვია გამარჯვებული. საჭირო შეიქნა კიდევ ერთი ასეთი სერიის დანიშვნა, რომელმაც საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა მახათელებს. შემდგომში „მახათამ" მარცხი განიცადა „დელისთან" (ორჯონიკიძის რაიონი) და საბოლოოდ ფინალისტები გახდნენ „დელისი" და „ფოლადი".

23 ივნისს, „ა" კლასის II ჯგუფის ოსტატთა გუნდების მატჩის წინ, თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა ზემოდასახელებულ კოლექტივთა ფინალური შეხვედრა. მაყურებლები ინტერესით ადევნებდნენ თვალს ნორჩ ფეხბურთელთა ბრძოლას, რომელიც „დელისის" გამარჯვებით დამთავრდა — 2:0.

თბილისის სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ვეგელიამ სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა ფინალის მონაწილე ორივე გუნდის წევრებს.

ი. გოგორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ზედა მარჯვენა სურათზე: ფინალური ბრძოლის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## 6 მატჩი

23 ივნისს გაიმართა კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. აი, შედეგებიც: „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (კიროვაბადი) 1:2, „დაუგავა" (რიგა) — „სპარტაკი" (გომელი) 0:0, „დინამო" (ტალინი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:0, „როსტსელმაში" (როსტოვი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:2, „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 2:0, „ტექსტილშიკი" (ივანოვო) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:3.

# ოლიმპიელები ვარჯიშობენ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები შეუდგა მზადებას მომავალი თამაშებისთვის. როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ულიანოვსკში იგი შეხვდა ავსტრიის I ლიგის წარმომადგენელს — „შვარც-ვაისს".

საბჭოთა გუნდმა (პშენიჩნიკოვი (კუდასოვი), ივანოვი, პახომოვი, შელიძე, შტაპოვი (ანიჩკინი), კუტივაძე (ლენიოვი), ილიადი, ადამოვი (ვარგა), ფედოტოვი, ესკოვი, აბდურაიმოვი) დაამარცხა მოწინააღმდეგე — 7:1.

ბურთები გაიტანეს აბდურაიმოვმა, ფედოტოვმა (2), ადამოვმა, ილიადიმ და ვარგამ (2). სტუმართაგან გოლის ავტორი იყო პასიჩი.

# „ლოკომოტივმა" კვლავ წააგო

მოსკოვი, 24 ივნისი. გუშინ აქ საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო ალმა-ათის „კაირატი".

## „ა" კლასი I ჯგუფი

თამაში მოიგეს სტუმრებმა — 2:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს სტეპანოვმა და ფორონჩიხინმა, „ლოკომოტივის" მხრივ — გერშკოვიჩმა.

# გაიმარჯვეს პოლონელებმა

მინსკში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და პოლონეთის იუნიორ ფეხბურთელთა შორის.

გაიმარჯვეს პოლონელებმა — 2:1.

## „ბ" კლასი IV ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 12 | 8 | 2 | 2 | 14—6 | 18 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 13 | 7 | 3 | 3 | 23—13 | 17 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 11 | 6 | 4 | 1 | 11—4 | 16 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 13 | 5 | 6 | 2 | 14—8 | 16 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 12 | 6 | 3 | 3 | 12—5 | 15 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 13 | 6 | 3 | 4 | 13—8 | 15 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 14 | 4 | 7 | 3 | 17—16 | 15 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 12 | 7 | 0 | 5 | 16—13 | 14 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 13 | 5 | 3 | 5 | 22—11 | 13 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 12 | 5 | 3 | 4 | 23—15 | 13 |
| „დინამო" (სოხუმი) | 12 | 4 | 4 | 4 | 15—12 | 12 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 12 | 5 | 2 | 5 | 16—15 | 12 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 13 | 4 | 3 | 6 | 11—12 | 11 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 13 | 3 | 5 | 5 | 13—15 | 11 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 12 | 4 | 2 | 6 | 12—14 | 10 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 12 | 3 | 3 | 6 | 10—18 | 9 |
| „დილა" (გორი) | 13 | 2 | 5 | 6 | 7—15 | 9 |
| „ურალანი" (ელისტა) | 12 | 2 | 5 | 5 | 7—19 | 9 |
| „არაქსი" (ერევანი) | 12 | 2 | 4 | 6 | 5—15 | 8 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 12 | 1 | 3 | 8 | 7—32 | 5 |

# დაწინაურდა ჯინჯიხაშვილი

ბათუმი, 24 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ გაიმართა ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის II ტური. ჯინჯიხაშვილმა მოუგო უიტელეას (ჩეხოსლოვაკია), უზილოვამ — ველიმიროვიჩს (იუგოსლავია), ზავეროვმა (აზერბაიჯანი) — დოდას (პოლონეთი), ცინმა (გდრ) — გიორგაძეს, კურაიცამ (იუგოსლავია) — კოლაროვს (ბულგარეთი), ბუსლაევმა — მინიჩს (იუგოსლავია). ყაიმით დამთავრდა პოპოვ (ბულგარეთი) — ფლორის (უნგრეთი) პარტია. იანსა (ჩეხოსლოვაკია) — გურგენიძის პარტია გადაიდო საყაიმო პოზიციაში.

დღეს, III ტურში, ჯინჯიხაშვილმა დაამარცხა ცინი. ყაიმით დამთავრდა კოლაროვ — პოპოვის, დოდა — ბუსლაევის და მინიჩ — იანსას პარტიები.

4 პარტია გადაიდო.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერობს ჯინჯიხაშვილი.

# აი, ესენი ითამაშებენ ინგლისში

## უვე ზეელერი



— ფეხბურთი გოლებით ფასდება, — ამბობს ცნობილი გერმანელი თავდამსხმელი უვე ზეელერი. — როგორ შეიძლება თამაში დაცვითი სისტემით, რად უნდათ ახლანდელ გუნდებს ამდენი მცველები?! მე 4—2—4 სისტემის მტერი არა ვარ, მაგრამ მას უსწოროდ იყენებენ.

ზეელერმა გფრ-ის ნაკრებში პირველად 1954 წელს ითამაშა. „რაც ჩემი თავი მახსოვს, ბურთს ვთამაშობ. ფეხბურთი ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა. მას არაფერზე არ გავცვლი!"

უვეს მამაც ფეხბურთელი იყო და ისიც „ჰამბურგში" თამაშობდა ომამდე, ხოლო შვილი „ჰამბურგის" წევრი გახდა ომის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ სულ ჭაბუკი იყო. ახლა იგი 29 წლისაა.

გოლის გატანა— აი, რა იტაცებს ყოველთვის ზეელერს. ნიჭიერი თავდამსხმელი უმალ შეამჩნია გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ზ. ჰერბერგერმა და აიყვანა კიდეც გუნდში.

შარშან ზეელერმა ფეხი მოიტეხა და 6 თვის მანძილზე არ უვარჯიშია, მაგრამ დიდი შრომისუნარიანობისა და მონდომების წყალობით, იგი დღეს კვლავ ნაკრების წევრია.

— ჩემი უდიდესი ოცნებაა ვითამაშო ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში, — ამბობს ზეელერი. — რაც შეეხება ჟიულ რიმეს თასს, მას ან ბრაზილია ან ინგლისი დაეპატრონება.

სურათზე: უვე ზეელერი.

## მსოფლიო ჩემპიონატამდე




## ემზადებიან...

◆ გლაზგო, 23 ივნისი. შოტლანდიის დედაქალაქში საწვრთნელად და სპარინგ-მატჩების გასამართავად ჩამოვიდნენ საფრანგეთისა და ბრაზილიის ფეხბურთელები. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი სენსაცია პელეს ჩამოსვლამ გამოიწვია. როგორც კი იგი გლაზგოს ქუჩებში გამოჩნდა, უმალვე მოექცა ავტოგრაფების მოყვარულთა ალყაში.

აი, რას მოგვითხრობს ცნობილი ბრაზილიელი თავდამსხმელი:

— მე ჯერ კიდევ არა ვარ საუკეთესო ფორმაში, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ჩემპიონატის დასაწყისისთვის აღვიდგენ მას. შევეცდები დავიკლო ის 2 გირვანქა, რომელიც მამძიმებს.

პელე კმაყოფილია და მხიარულად გამოიყურება. იგი ფიქრობს 90 წუთი ითამაშოს შაბათის მატჩში შოტლანდიის ნაკრებთან.

— ეს ძალიან საჭიროა, — ამბობს პელე. — ჩვენ ხომ რამდენიმე წელია, რაც ინგლისში არ გვითამაშია. თანაც, ჩვენ ისეთსავე პირობებში ვითამაშებთ, როგორშიც ჩემპიონატი ჩატარდება.

პელეს, ისევე, როგორც წინათ, ახლაც მიაჩნია, რომ ბრაზილიელთა მთავარი მეტოქე ჟიულ რიმეს თასისთვის ბრძოლაში იქნება ინგლისის ნაკრები.

— ინგლისელები მშობლიურ მიწაზე გამოვლენ, — აზუსტებს თავის აზრს მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირი. — ეს კი დიდი უპირატესობაა. სწორედ ამიტომაც მსურს შაბათის მატჩში ორივე ტაიმის თამაში. ჩვენთვის აუცილებელია გავერკვეთ, თუ რას წარმოადგენს ინგლისური ფეხბურთი.

ამასწინანდელ მატჩში მადრიდის „ატლეტიკოსთან" მინდორზე 35 წუთი დაჰყო გარინჩამ. პელემ თქვა, რომ მისი კოლეგა სავსებით განიკურნა ტრავმისგან და უკვე შეუძლია 90 წუთი ითამაშოს. სამაგიეროდ, იმავე მატჩში დაშავდა ჟერსონი. იგი ლიმამ შეცვალა, რომელიც ჯერჯერობით ჟერსონის ადგილზე იქნება.

◆ ტურინი, 23 ივნისი. ბულგარეთისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებთან გამარჯვების შემდეგ იტალიელმა ფეხბურთელებმა სძლიეს არგენტინელებს — 3:0 (1:0). მატჩში უძლიერესი იყო მასპინძელთა მარცხენა გარემარბი პასკუტი, რომელმაც 33-ე წუთზე ანგარიში გახსნა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში მეორე ბურთიც გაიტანა.

მესამე გოლის ავტორია „ტორინოს" ახალგაზრდა თავდამსხმელი მერონი, რომელმაც შეცვალა იტალიელთა კაპიტანი მაცოლა.

ორივე გუნდის მწვრთნელებმა ფაბრიმ და ლორენცომ განაცხადეს, რომ მატჩმა დაკარგა სპორტული ინტერესი პორტუგალიელი როდრიგესის მსაჯობის გამო, რომელმაც ვერ შეძლო ალეკვეთა უხეშობა მინდორზე. ამის შედეგად 66-ე წუთზე გააძევეს არგენტინელი საინცი, ხოლო 94-ე წუთზე (პირველი ინციდენტის გამო მატჩი 4 წუთს შეწყდა) — იტალიელი ლეონჩინი.

◆ ბელფასტი, 23 ივნისი. დრამატულად წარიმართა მეორე ტაიმში ჩრდილოეთ ირლანდიისა და მექსიკის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდების მატჩი. 52-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა მექსიკელმა პენიამ. 71-ე წუთზე ჯონსტონმა საპასუხო გოლი გაიტანა, ხოლო კიდევ 4 წუთის შემდეგ მისმა თანამემამულე ელდერმა ანგარიში ორამდე გაზარდა.

მალე ინგლისელმა მსაჯმა ტეილორმა მინდვრიდან გააძევა მექსიკელთა მეკარე კალდერონი. სტუმართა მწვრთნელი ტრელესი იძულებული გახდა ნახევარმცველ დიასის ნაცვლად შემოეყვანა სათადარიგო მეკარე ვარგასი, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ირლანდიელებმა ნიკოლსონმა და ფერგიუსონმა განამტკიცეს მასპინძელთა გამარჯვება — 4:1.

◆ ლა-კორუნია, 23 ივნისი. ესპანეთის ჩრდილოეთის ამ ქალაქში ფრედ — 1:1 — ითამაშეს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მონაწილეებმა — ესპანეთისა და ურუგვაის ნაკრებმა გუნდებმა. ანგარიში გახსნა სტუმართა მარცხენა გარემარბმა პერესმა. 76-ე წუთზე ჰენტომ საპასუხო ბურთი გაიტანა. საინტერესოა, რომ ესპანელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლაპეტრამ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო.

მატჩს 35 ათასი მაყურებელი დაესწრო.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ. ურუგვაი — მაზურკევიჩი, ტროჩე, დიასი, ფორლანი, გონსალესი, გაეტანო, კორტესი, აბადიე, სილვა, როჩა, პერესი; ესპანეთი — ირიბარი, სანჩესი, სოკო, ელადიო, დელ სოლი, გლარია, უფარტე, პეირო, მარსელინო, ლაპეტრა, ჰენტო.

◆ ჰანოვერი, 23 ივნისი. 75 ათასი მაყურებელი დაესწრო გფრ-ისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრას.

30-ე წუთზე გერმანელმა ოვერატმა გახსნა ანგარიში, ხოლო 78-ე წუთზე გფრ-ის გუნდის კაპიტანმა ზეელერმა განამტკიცა გამარჯვება — 2:0.

მატჩის შემდეგ გფრ-ის მწვრთნელმა ჰ. შიონმა განაცხადა, რომ იგი კმაყოფილია თავისი გუნდის თამაშით, განსაკუთრებით, დაცვითი ხაზისა, და მიაჩნია, რომ მის ბიჭებს მსოფლიო ჩემპიონატში წარმატების რეალური შანსები აქვთ.

გერმანელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ტილკოვსკი, ჰეტესი, შულცი, ვებერი, შნელინგერი, ბეკენბაუერი, ჰალერი, კრამერი, ზეელერი, ოვერატი, ჰელდი.

მატჩს დაესწრო ფიფა-ს პრეზიდენტი ს. როუზი.

ფეხბურთი

● ლონდონი, 23 ივნისი. ადგილობრივ „კრისტალ-პალასის" სტადიონზე მოსული მაყურებელი ბევრი სიურპრიზის მოწმე შეიქნა. 6 ქვეყნის „კვარტეტები" უტევდნენ მსოფლიო რეკორდს 4×880 იარდზე ესტაფეტაში. დიდი ბრიტანეთის მორბენლები გ. გრანტი, მ. ვარა, კ. კარტერი და ჯ. ბოულტერი გახდნენ მსოფლიოს ახალი რეკორდის ავტორები — 7.14,6. ეს 2,8 წამით უმჯობესია წინანდელ მსოფლიო რეკორდზე. რეკორდსმენებმა გზად გააუმჯობესეს მსოფლიო მიღწევა 4×800 მეტრზე ესტაფეტაშიც. წინანდელ რეკორდზე უკეთესი შედეგი აჩვენა საბჭოთა ოთხეულმაც (ა. უსტიანცევი, რ. მიტროფანოვი, ო. რაიკო და ვ. მიხაილოვი) — 7.16,0. სენსაციური იყო რბენა 5 კილომეტრზე. მონაწილეთა შორის იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენი რ. კლარკი (ავსტრალია) და ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი მ. გამუდი (ტუნისი). ყველას აჯობა მძლეოსნური სამყაროსთვის უცნობმა იაპონელმა კ. სავაკიმ — 13.36,2 (ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში). II იყო გამუდი — 13.36,4, III — უნგრელი ლ. მეჩერი — 13.36,6 და მხოლოდ IV — კლარკი — 13.37,0. ჭოკით მხტომელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა სსრ კავშირის რეკორდსმენმა, ხარკოველმა გ. ბლიზნეცოვმა — 490 სმ.

● სოჭი, 24 ივნისი. სენსაციით დაიწყო ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი: პირველსავე ტურში მსოფლიო ჩემპიონობის ამასწინანდელმა მაძიებელმა სპასკიმ წააგო ოსტატ სერგიევსკის. ჩემპიონმა დაამარცხა ბრადვარევიჩი (იუგოსლავია), პოლუგაევსკიმ — ბარცა (უნგრეთი), ზახაროვმა — ორტეგა (კუბა), კორჩნოიმ — ბობოცოვი (ბულგარეთი). II ტურში კვლავ გაიმარჯვა სერგიევსკიმ: მან მოუგო ორტეგას. სპასკიმ დაამარცხა ბარცა, ზახაროვმა — კორჩნოი. ბერტოკ (იუგოსლავია) — ბობოცოვის, პოლუგაევსკი — ვლადიმიროვის, ბრადვარევიჩ — ლეინისა და კროგიუს — ფუქსის (გდრ) შეხვედრები ყაიმით დასრულდა.

● მეხიკო, 23 ივნისი. მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში 12 ოქტომბერს დაიწყება „სპორტის საერთაშორისო კვირეული", რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 21 ქვეყნის ათლეტები, მათ შორის, სსრ კავშირის წარმომადგენლებიც. კვირეულის პროგრამაშია ასპარეზობა მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, კრივში, ტანვარჯიშში, ნიჩბოსნობაში, ველოსპორტში, ცურვასა და ფარიკაობაში.

● ლონდონი, 23 ივნისი. უიმბლდონის ტურნირის II წრეში წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა ჩოგბურთელები: გ. ბაკშეევამ წააგო სამხრეთაფრიკელ ვან ზილთან — 3:6, 6:3, 3:6, ხოლო ა. მეტრეველი დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა მსოფლიოს სამოყვარულო ჩოგბურთის „მეორე ნომერთან" დ. რალსტონთან (აშშ) — 0:6, 6:4, 4:6, 4:6.



ისინი ტოკიოს ოლიმპიადაზე დამეგობრდნენ: ავსტრალიელი მოცურავე ქალი დ. ფრეზერი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ძიუ-დოში, ჰოლანდიელი ა. გეეზინკი. ამ ორიოდე თვის წინ ფრეზერი და გეეზინკი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს იაპონიაში. ოსაკას ბაზრობაზე ფრეზერი რეკლამას უკეთებდა ავსტრალიური მარკის საცურაო კოსტუმებს, გეეზინკი კი ბაზრობის საპატიო სტუმარი გახლდათ.

სურათზე: გამოჩენილი მოცურავე სახელგანთქმულ ძიუდოისტს აცნობს თავის პირმშოს.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

◆ ტოლიდო, 24 ივნისი. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის აქ გამართულ კონგრესზე გადაწყდა ამიერიდან გაიმართოს თავისუფალი და კლასიკური სტილის ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატები. პირველი ასეთი შეჯიბრება ჩატარდება 1967 წლის სექტემბერში, ბულგარეთის ქალაქ ხასკოვოში. კლასიკურ ჭიდაობაში 1967 წლის მსოფლიო პირველობა მოეწყობა ბუქარესტში, ხოლო თავისუფალი სტილის ათლეტთა მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას ერთმანეთს ეცილებიან დელი და მეხიკო.

◆ ბოლონია, 24 ივნისი. სპორტული გაზეთის „სტადიოს" ტრადიციული ყოველწლიური პრიზი — „იტალიის ჩემპიონატის I ლიგის საუკეთესო ფეხბურთელს" — მიენიჭა... შვეციელ ჰამრინს. საგანგებო წამახალისებელი ჯილდო დაიმსახურა სეზონის ყველაზე შედეგიანმა ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა ვინიჩიომ (ვიჩენცის „ლანეროსი").

◆ კოტბუსი, 24 ივნისი. ახალგაზრდა მძლეოსანმა ვ. პფაილმა (გდრ) აქ გამართულ შეჯიბრებაში დაძლია 212 სმ სიმაღლე, რაც მხოლოდ 1 სანტიმეტრით ჩამორჩება 4 წლის წინათ ჰ. დიურკოპის მიერ დამყარებულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რეკორდს.

◆ ბერლინი, 24 ივნისი. გდრ-ში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ჩამოვიდა ლონდონს მიმავალი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები. გუნდის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ფეხბურთელები მზად არიან ძნელი და საპასუხისმგებლო მატჩებისთვის.

ფეხბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

სასტენდო სროლა. „მონკავშირის" სასროლეთი (ვაკე). 25-26 ივნისი. სამატჩო შეხვედრა საქართველო — აზერბაიჯანი. დასაწყისი 10 ს.

ტყვიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. 25-28 ივნისი. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. დასაწყისი 10 ს.

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი). 26 ივნისი. დუბლშემადგენლობანი. 27 ივნისი. ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.